ლ ე ვ ა ნ ს ა მ ხ ა რ ა უ ლ ი ს ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 36/11

27/03/2025

თბილისი

.... 201 წ.

6000387725

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N255 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ბიუროს უფროსის 2014 წლის 11 აპრილის N68 §6 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე, 61-ე მუხლების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში (შემდგომში - ბიურო) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს, ბიუროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს უფროსი. მისი არყოფნის შემთხვევაში, ამ პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელება მიენიჭოს, ბიუროს უფროსის ბრძანებით, სამმართველოს უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებლად დანიშნულ პირს.
2. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ბიუროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი. მისი არყოფნის შემთხვევაში, ამ პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელება მიენიჭოს, ბიუროს უფროსის ბრძანებით, სამმართველოს უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებლად დანიშნულ პირს.
3. დაევალოს ბიუროს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა.
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ბიუროს უფროსის 2020 წლის 4 მაისის N40 §1 ბრძანება „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნის შესახებ“.

6000387725

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი თვაური

ბიუროს უფროსი